


1998 წლის 27 ივნისი, ჩვენს ქვეყანაში ახალი პოლიტიკური გაერთიანების, საზოგადოება „სპორტული საქართველოს“ დაფუძნების დღეა!

საინფორმაციო გამოცემა № 2, 1998 წ.



რომან კიკუა

დაიბადა 1942 წელს. სპორტის დამსახურებული ოსტატი. მსოფლიოს ოთხგზის (1966, 1967, 1969, 1970) და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1968), ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი (1964), სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი და სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკადემიის სამგზის ჩემპიონი.

დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ჭიდაობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორად, საქართველოს ნაკრების უფროს და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელად, სპორტნაწარმის ფაბრიკის ჯერ დირექტორის მოადგილედ, შემდეგ დირექტორად, ამჟამად სააქციო საზოგადოება „ლელოს“ პრეზიდენტი.

საზოგადოება „სპორტული საქართველოს“ დამფუძნებელ ყრილობაზე აირჩიეს თავმჯდომარედ.




ზურაბ ანისიძე

დაიბადა 1948 წელს. დაამთავრა პროფტექნიკური სასწავლებელი, მანქანათმშენებლობის ტექნიკური და პოლიტექნიკური ინსტიტუტი მშენებელი ინჟინრის სპეციალობით.

ჩარხმშენებელ ქარხანაში მუშაობდა ხარატად, „თილქალაქში“ - ხელოსნად, მშენებელ ოსტატად, ტექნიკური განყოფილების ინჟინრად, სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად, მთავარ ინჟინრად, გაერთიანების სამმართველოს უფროსად.

1992 წელს მონაწილეობდა საპარლამენტო არჩევნებში, როგორც მაჟორიტარი კანდიდატი, 1995 წელს არჩევნების ამავე წესით, გახდა პარლამენტის დეპუტატი. იმავე წლიდან საპარლამენტო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარეა. სპორტის ოსტატია სამბოში და ძიუდოში, საქართველოს ჩემპიონია, მუდამ იყო დაკავშირებული სპორტულ სამყაროსთან. „სპორტული საქართველოს“ დამფუძნებელმა ყრილობამ აირჩია გენერალურ მდივანად.



თამაზ ზღინარაძე

დაიბადა 1949 წელს. სწავლობდა გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში. მიიღო უმაღლესი განათლება. სპორტის ოსტატი და საქართველოს რეკორდმენია. იყო „ბურვესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი სპრინტში.

მუშაობდა ლათურის ჩაის ფაბრიკაში ბრიგადირად, იქვე კომკავშირის განთავისუფლებულ მდივანად, შემდეგ რაიონის კომკავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, საკონსერვო ქარხნის დირექტორად, ლათურის ალმასკომის თავმჯდომარედ, თბილისის სანარმოო გაერთიანება „მიონის“ დირექტორის მოადგილედ აღმინისტრაციულ დარგში. 1987 წლიდან საქართველოში მძლეოსნობის განვითარებას უდგას სათავეში, ზედიზედ მეოთხედ გამოუცხადეს ნდობა მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე. „სპორტული საქართველოს“ დამფუძნებელმა ყრილობამ აირჩია თავმჯდომარის მოადგილედ.

ეს დღე არა მხოლოდ სპორტული, არამედ უკვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ღირსსახსოვარ თარიღად შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ჩანაფიქრს ვიდრე რეალობად აქცევდა, ამ მართლაც უდიდესმა ერთიანობით მუდამ სამაგალითო ოჯახმა, ყველაფერი, როგორც იტყვიან, მისხალ-მისხალ აწონა და გათვალა, გათვალა იმ სიბრძნით, როგორც მაღალი სპორტული მწვერვალისათვის ბრძოლის წინ სწვევია ხოლმე. ახლა ადამიანთა ეს ხალხმრავალი პროფესიული გაერთიანება, უკვე პოლიტიკურ სარბილზე გამოდის, გამოდის მოვალეობის ღრმა შეგნებით და თუ ვინმეს სტარტზევე დაეჯერება, ეს, პირველყოფისა, ამ ადამიანთა საკრებულოზე ითქმის, რადგან მათ, სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ნამდვილად არ ესწავლებათ რა არის ქვეყნის პატრიოტიზმი ანუ სამშობლოსათვის თავდადება, ხალხისა და ქვეყნის უანგარო სამსახური, რა არის და სად იწყება ფუჭი ამბიციები და რა არის რეალობა, რის ფასად მიიღწევა სასურველი შედეგი, რას ნიშნავს სიტყვისა და საქმის ერთიანობა...

საუბრება. კაცობრივი დავრჩით მისი სიძინჯით და წინდახედულობით. იგი უსაზღვროდ განიცდიდა პასუხისმგებლობის გრძობას მისი კანდიდატურის ახალი პარტიის თავმჯდომარედ შესაძლო ნამოწვევასთან დაკავშირებით. თავად ეს არ სურდა, თუმცა, ყველას ჰპირდებოდა თანადგომას, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტი, ეყრდნობოდა რა საზოგადოებრივ აზრს, მისგან დაჟინებით მოითხოვდა დათანხმებოდა შეთავაზებულ წინადადებას. ის, რომ ყრილობაზე მართლაც არ გამოჩენილა ალტერნატიული კანდიდატურა, ჩვენი სპორტული სამყაროს სწორ არჩევანზე მეტყველებს, ასეთი ერთსულოვნება კი უთუოდ გახდება ერთ პოზიციებზე დგომისა და რეალური საქმეების ერთად კეთების საწინდარი.

ახლა ისიც ხმაბალა უნდა გაცხადდეს - თუ ყრილობის სულისკვეთებით ვიმსჯელებთ - საქართველოს სპორტულმა სამყარომ დაამტკიცა, რომ მჭიდროდ შეკრული და მობილიზებული სამყაროა, რაც ამჟამად უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება. და რომ ამ სამყაროს, ზნეობრივი უფლებაც აქვს და უნარიც შესწევს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიკავოს ღირსეული ადგილი.

კვლავაც გამარჯვებები ყოფილიყოს ქვეყნისა და ხალხის სამსახურში თქვენი სავიზიტო ბარათი.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი



გულახდილად ვიტყვით, ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების პერიოდში რამდენჯერმე მოგვისდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ფალავანთან და ღირსეულ პიროვნებასთან რომან რურუასთან გა-

